

1937/2

საბავშვო
საბჭოთაო

პიონერი



1937

№10

კომუნარი

წელიწადი მათობა



საქ. ალკ ცენტრალური კომიტეტის და
საქ. განსახკომის ერთობიური უზრუნველყოფის ქვეშ

ოქტომბერი 1937 წ. № 10

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამოცემა — „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: ტფილისი, გრიბოედოვის ქ. № 34. ტელ.—3-02-61

შინაარსი

1. მიქელაძე ვაჩიკა, —საოქტომბრო სიმღერა (ლექსი)	83-1
2. ა — ქე, —ბრწყინვალე დღესასწაული	2
3. უკლება ვიორკი, —საოქტომბრო (ლექსი)	3
4. კარატუპა, — ჩემი მეგობარი ამხანაგი (ნამბობი)	3
5. ბოგოხიძე ქალე, —ნამდვილი გმირი (ლექსი)	7
6. ქორაძია როდინი, —ჭიათურა	8
7. მარიანაშვილი ვალვა, —სამი ათასი წლის წინათ	10
8. ქახიანი ვლ., —წაეი	13
9. სამხედრო თამაშობანი	15
10. პასუხები ჟურ. „პიონერი“-ს № 8-ში მოთავსებულ გასართობებზე	15
11. შავიკაშვილი თ., —ოქტომბრის სიმღერა (მუსიკა) გარეკანის მე-3 გვ.	
12. თ. შავერზაშვილი, —მარში (მუსიკა)	გარეკანის მე-4 გვ.
13. პასუხები კროსვორდზე	გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალი გაფორმებულია მხატვარ ი. ქოქიაშვილის მიერ

პასუხისმგებელი რედაქტორი ვლ. აბლაძე

პ/მზ. მდივანი აკრ. ღვთისაძე

მთაველიტი 10539

შეკვ. 872

ტირაჟი 26.600

სტამბა „კომუნისტი“ კამოს ქ. № 68




საქართველოს
საბჭოთავო
საგარეო
საზღვაო
საზღვაო
საზღვაო





საოქტომბრო
სიძღვრო



ეს მეოცე ოქტომბერი
ანთებულა დროშებით.
მთვალთ ულევ სიხარულით
საბჭოეთის ბავშვები.

გავიზრდებით, გავკაჟდებით,
ჩვენც ავიღებთ შამხანას,
გვერდით მტკიცედ დავუდგებით
უფროს ძმას და ამხანავს.

დიდ სამშობლოს დასაცავად
ცაში ავიმართებით,
არწივივით ფრთაძლიერნი,
ქორებივით მარდები.

თუ სამშობლო დავვიძახებ,—
წამოვდგებით ხანჯარით,
შევძლებთ, რომ მტერს დავანანოთ
ვერაგობა საჯარი!


დღეს კი—ვსწავლობთ და ვიციანით...
დროშებს მაღალტანიანს
ჩვენი ელვა-სიხარული
ცაში აუტანია.

ეს მეოცე ოქტომბერი
ანთებულა დროშებით.
მთვალთ ულევ სიხარულით
საბჭოეთის ბავშვები.

2021

ბრწყინვალე ღვთისმშობელი

ოცმა წელმა განვლო ოქტომბრის დიდი რევოლუციის გამარჯვებიდან. აღსანუსხავად ძნელია, მეტად ბრწყინვალეა ის მიღწევები, რომლებიც მოიპოვეს საბჭოთა ქვეყნის მშრომელებმა ამ ოცი წლის მანძილზე.




დღეს ყველა ხედავს, ხედავენ მტრებიც კი, რომ მსხვერპლის გაღებას ამოდ არ ჩაუვლია, რომ ამ გამარჯვებისათვის მებრძოლთა სისხლი უშედეგოდ არ დაღვრილა. დღეს ბედნიერია ჩვენი ქვეყანა... განსაკუთრებით ბედნიერია ჩვენი მესამე თაობა.

ბავშვთათვის მხიარული, ბედნიერი ცხოვრების შექმნა, — აი ერთერთი მთავარი მიზანი, რომლის განხორციელებას საბჭოთა კავშირის შექმნისთანავე შეუდგა ლენინ-სტალინის პარტია.

ლენინს ძლიერ უყვარდა ბავშვები. ის მათ მუდამ ფაქიზად, ნაზად ეალერსებოდა. დიდი მწერალი მაქსიმ გორკი თავის მოგონებაში მოგვითხრობს, რომ ლენინმა ერთხელ, სამოქალაქო ომების წლებში, როდესაც ბავშვებს ეალერსებოდა, თქვა: „აი ესენი იცხოვრებენ ჩვენზე უკეთ... და ეს სიტყვები დღეს გამართლებულია.“

საყვარელი ბელადის სტალინის გულთბილი მზრუნველობით ჩვენი ქვეყნის ბავშვებს საშუალება აქვთ ჯანმრთელად იცხოვრონ, საუკეთესო სკოლებში ისწავლონ, სუფთა ჰაერზე დაისვენონ. მათ არ აწუხებთ ლუკმა პურზე ფიქრი, როგორც კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა შვილებს. მათი ფიქრი, მათი ოცნება მხოლოდ ბრწყინვალე მომავალს დასტრიალებს. მათი ფანტაზია მდიდარია, მათი მისწრაფება მრავალნაირი: ზოგს სურს გეოლოგი გახდეს და ახალი აღმოჩენებით დააჯილდოს თავისი საყვარელი საბჭოთა სამშობლო, ზოგს სურს ინჟინერი, მშენებელი იყოს; ზოგი მფრინაობაზე ოცნებობს, ზოგს მუსიკოსობა უნდა, ზოგს მწერლობა, მხატვრობა, — ყველა კი თავის ბედნიერ სამშობლოს დაცვისათვის ემზადება, უცხოეთის ჯაშუშებისა და თავდამსხმელებისაგან.



„იყო ექიმი-დოსტაქარი — ესეც ხომ ხელოვნებაა. ავადმყოფებს ვუმკურნალავ ისე, რომ ყველა ისინი გაჯანმრთელდნენ“, — ამბობს მესამე კლასის მოწაფე.

13 წლის მოწაფე გოგონა კი ასე აცხადებს: ჩემი ოცნება ის არის, რომ სამხედრო მფრინავი გავხდე. რა ბედნიერება იქნება... ცაზე გამოჩნდება თვითმფრინავი და, წარმოიდგინეთ, ამ თვითმფრინავზე მფრინავად მე ვიქნები... და თუ სამხედრო სკოლაში არ მიმიღებენ, ჩვეულებრივ მფრინაობას მაინც ვისწავლი“.

ასეთი საინტერესოა ყველა ბავშვის ოცნება ჩვენს ქვეყანაში. და მათ აქვთ შექმნილი ყოველგვარი პირობა იმისათვის, რომ ხორცი შეასხან ამ ოცნებას. ამიტომაც გაისმის ირგვლივ მათი გულწრფელი ამოძახილი: „მადლობა დიდ სტალინს ბედნიერი, საამური ცხოვრების შექმნისათვის“.

დღეს ბრწყინვალე ღვთისმშობელს — დიდი რევოლუციის 20 წლის თავს — უფროსებთან ერთად აღტაცებით ეგებება ჩვენი ნორჩი თაობა.

დღე, იფურჩქნოს სოციალისტური სამშობლოს ბედნიერმა თაობამ!

გაუმარჯოს ნორჩი თაობის გულთბილ მზრუნველს — კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს ბავშვთა უსაყვარლეს მეგობარს, ძვირფას ძიას — დიდ სტალინს!





გაიხარე, ჩემო გულო,
და, ოცნებაჲ, გაიფურჩქნე...
ჩემო მხარევ, მოქარგულო,
აღტაცებებს გვმატებ უჩვევს.

და ვუმღეროთ ოცი წლის თავს,
ვუმღეროთ მას, ვინაც ხალხებს
სანეტარო ყოფა მისცა,
ვისი გულიც გვათბობს, გვალხენს!

ჩემო მხარევ, გიელვარებს
ოქტომბრის მზე ველს და ბეჭოღს...
მეგობრობო, მოდით ერთხმად
სიმღერები მისთვის ვჭეკოთ!

გაიხარე, ჩემო გულო,
სიხალისეს რომ გრძნობ უჩვევს...
ჩემო მხარევ, მოქარგულო,
აყვავდი და გაიფურჩქნე!

გიორგი უკლება.
გე-30 საშ. სკოლის მოსწავლე.

ჩაიი აბრძოლი ამხანაბი



ორენოსან მესაზღვრე ნ. ვ. კარაიშვას ნაამბობი.

ოთხ წლის ვმსახურობდი შორეულ აღმოსავლეთის საზღვარზე. მთელი ამ ხნის განმავლობაში ყოველთვის ჩემთან იყო ჩემი ერთგული მეგობარი — მაძიებელი ძაღლი ჯულბარსი მე და იგი ერთმანეთს დაწერილებით ვიცნობთ: დღისით თუ ღამით, პაპანაქებაში თუ ყინვაში, ჩვენ სულ ერთად ვიყავით საზღვარზე. ჩემ ჯულბარსს შორიდანვე ესმის ყოველივე ხმაური და ყნოსვაც მშვენიერი აქვს. თუ კვალს მიაგნო — ვერასდროს წაუვა საზღვრის გადმომლახველი, სადაც უნდა იყოს, ყველგან იპოვინს. არაერთხელ აუტეხია ჩემთვისა და ჯულბარსისათვის მტერს სროლა.

ჩვენ, მესაზღვრეები. საკმაო რომელიმე ჩვენგანმა სიფრთხილე უკუაგდოს და ამკარად გამოჩნდეს საზღვარზე, და ისინი მაშინვე დაგვალერენ ბინოკლებს, „ლეიკების“ ობიექტივებს... და შახანებს. დივერსანტებს, რომლებმაც გადმოლახეს საზღვარი, არაერთხელ მოუწყვიათ ჩასაფრება. გიამბობთ ერთ ასეთ ცდაზე.

საზღვარზე მუშაობის განმავლობაში მე დავიჭირე ასზე მეტი ჯაშუში და დივერსანტი. ვიჭერდი ორ-სამ კაცს, ერთხელ კი ცხრა კაცი ერთად მივიყვანე საკარაულოზე. მეტისმეტად ვეჯავრებით მათ

ეს იყო გაზაფხულზე. განთიადის წინ ვბრუნდებოდი წითელარმიელსა და ჯულბარსთან ერთად საყარაულოზე. ჩვენი გზა მდინარის ციკაბო ნაპირს გასდევდა. დივერსანტები ფლატეს ქვეშ ჩასაფრე ულყენენ. ჩასაფრებიდან ოციოდე ნაბიჯზე მოუსვენრობა დაეტყო ჯულბარსს: ყუები დაცქვრტა, ბალანი აებუძა. ის ფლატისა ენ გაცოცდა. ჩვენც ბალახებში ჩაწვექით და მივეყვით. ხრამთან მივცოცდით. აღამიანების სუნთქვა მომესმა. არ შევუძახე:

ვინ იცის, სად არიან ჩასაფრებულნი, თუ დაუყვირე და ამით გაცე შენი თავი — ტყვიებს დაგიშენენ. გადავწყვიტე სხვანიარად მემოქმედა. ავიღე კომბალი, ჩაყავი ფლატეს ქვეშ და დავიწყე მათი ძებნა. ვიპოვე. გაყუჩებულნი არიან, კრინტსაც არ ძრავენ. მიმალულან ძაღლები.

— ვინა ხართ? — გადავახე ზევიდან ფლატეს ქვეშ. — ზევით ამოძვერიო!

ისინი ნაპირისაკენ გაცოცდნენ. მათ იფიქრეს: ის ერთია, ჩვენსამნი ვართ, რას დაგვაკლებსო. მესმის წყლის შხაპუნი — ალბათ, ერთერთი მათგანი წყალში შევიდა. მე ცოტათი განზე გავცოცდი და ჯულბარსი ავუშვი. როგორც კი გამოცოცდა პირველი ორი გადმომლახვილი, წითელარმიელმა თოფი დააღირა მათ და მეზობელ ხევში გაიყვანა.

მდინარიდან მოისმა ფაციფუცის ხმა. მე წყალში შევედი და ასეთი სურათი დავინახე: გადმომლახველი ცდილობს მოიშოროს ძაღლი, ჯულბარსი არ ეშვება და მაგრად ჩაუვლია პირი მკლავში. ამოვართრე გადმომლახველი წყლიდან და პირველ ჯგუფს შევეურთე. შემდგომ გავიგეთ მისი ჩვენებიდან: ჯაშუში წყალში მჯდარა, მხოლოდ თავი და ხელები უჩანდა, თურმე, წყლიდან. ხელში მაუხერი ჰქონია. თურმე, იმას ელოდა, როდის ჩავიდოდით ქვევით, რომ მოვეკალით. უეცრად თავის მახლობლად გაუგონია წყლის შხაპუნი; როდესაც ძაღლი დაუნახავს, ნაპირისაკენ გაქცეულა, მაგრამ უკვე გვიან იყო. ჯულბარსს მაგრად ჩაუვლია პირი ხელში. მაუხერი ვერ გამოუყენებია. უეცარი თავდასხმისაგან ბანდიტი დაბნეულა და წყალში ჩავარდნილა. მხოლოდ წყალში გამოუშლია რევოლვერისათვის ფეხი, და მაუხერი გამსკდარა.

ასე დაგვეხმარა ჯულბარსი ჩასაფრების მონახვასა და ბოროტმოქმედთა დაჭერაში.

მე უკრაინელ ვარ, მაგრამ ბავშვობისა და ყრმობის წლები აკმოლინსკის მახლობლად მდებარე სოფელში გავატარე, ახლანდელ კახახის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში. მთელი ჩემი ახალგაზრდობა, ჯარში ვაწვევამდის, მოჯამაგირეობაში გავიდა. 1932 წელს გამიწვიეს ჯარში და № მესაზღვრე რაზმში გამაწესეს.

ერთბაშად მოვხვედი უმცროს მეთაურთა სკოლაში, ილებდნენ ახალწვეულებს. იმდენს ვეცადე, რომ ამ



სასწავლებელში მოვხვედი. როდესაც სასწავლებელში მივედი, ძაღლები უკვე ჩამოერიგებინათ.

უფროსმა ხუმრობით თქვა:

— ერთი მშვენიერი ძაღლი მყავს — გერმანული და რაღაც სხვა ჯიშის ნარევი. მაგრამ ძალიან ახალგაზრდაა და ფეხებიც სუსტი აქვს. ვის უნდა ამ ძაღლის აყვანა?

მე ვთხოვე ლეკვის აყვანის ნებართვა: ძალიან მეჩქარებოდა ძაღლთან მუშაობის დაწყება. ჩემ ლეკვს ჯულბარსი დავარქვი. ეს იყო გამხდარი, გაბუძული საცოდავი ლეკვი.

უმჯობესია ათი თვის ძაღლს დაუწყო წვრთნა, მე კი ხუთი თვის ლეკვის წვრთნას მივყავი ხელი. მეცადინეობას ჯულბარსი ვაივავლახით ისწრებოდა, კარგად კი ითვისებდა ბრძანებებს, მართალია, მოუხეშავად დარბოდა, როგორც დათვის ბელი. დარბის, დაბაჯბაჯობს, გაბუძული, როგორც ეზოს ძაღლი. როდესაც მეცადინეობიდან ვბრუნდებოდით, ხანდახან ასეც მოხდებოდა: ყველა კურსანტს ძაღლი ხელმარცხნივ მოჰყავს სატარებლით, მე კი ერთ მხარზე შაშხანა მაქვს, მეორეზე კი — ჯულბარსი ის წევს და სძინავს. წინა თათებს ზურგზე დამაწყობდა, თავი თათებს შუა ქანაობდა. მოვიყვანდი ლეკვს შინ, დაეახურაიდი ჩემს მზარას, და ვიდრე ჯულბარსს ეძინა, მე რძის ფაფას მოვუდუღებდი. ამხანაგები იცინოდნენ:

— კარაცუბა თრიას ზრდისო.

მაგრამ აი გავიდა რამდენიმე თვე. ლეკვი წამოიზარდა, მოლონიერდა. მეცადინეობიდან რომ ვბრუნდებოდით, ჯულბარსი გვერდით მომდევდა ხოლმე ხალისიანად, ხოლო როცა შინ მივიდოდით, აილებდა თავის ჭურჭელს და სადილისათვის მირბოდა. იგი ისე შემეჩვია, რომ ოდნავი ჟესტიკულაციაც ესმოდა.



ჯულბარსი შეიხი და დანაც მასწავლებელი გაისმა გულგრილად.



გადმომლახველნი იმ წუთასვე აქტივით გაიფანტნენ. მე არ დავბნეულვარ და ვისროლე; ერთი ბანდიტი მკვლარი დაეცა.

წუთში დავეწიე მეორე გადმომლახველს. ის სასწრაფოდ უნდა მიმეყვანა საყარაულოზე, რომ მესამეს ვერ მოესწრო საზღვარზე გადასვლა. მაგრამ ბანდიტმა წამოსვლაზე უარი განაცხადა.

— სატარებელს მე წამოვოღებ თუ როგორ გვინა? — ვეტყვი ხანდახან ჯულბარსს, როდესაც სასიეროდ მიმყავდა.

ფეთიანივით შევარდებოდა ჯულბარსი ოთახში და უცებ დაბრუნდებოდა სატარებლით, რომელიც პირში ეჭირა.

გამოსაშვებ გამოცდებზე ჯულბარსს ჰქონდა მთელ სკოლაში საუკეთესო მაჩვენებლები. მუშაობის პირველ თვეებშივე დაამტკიცა მან, რომ ამოად არ დაგვიხარჯავს თანხები მის მკურნალობასა და გაწვრთნაზე.



რაერთხელ გადავურჩინე ვარ ჯულბარსს.

ერთხელ ბნელ ღამეში მივსდევდი ძაღლს, რომელიც კვალს მიჰყვებოდა. წითელარმიელმა, რომელიც მოგვეყვებოდა, სამი კილომეტრი გამოირბინა და ჩამოგვრჩა.

მე კიდეც დიდხანს მივსდევდი ძაღლს. დილის მეოთხე საათი იყო. ამასობაში მე თხუთმეტ კილომეტრამდის გავიარე კვალდაკვალ სვლით ქვეყნის სიღრმეში და საზღვრების გადმომლახველები დავინახე. ისინი სამნი იყვნენ.

ომახიანმა შეძახილმა „სდექ“ შეაკრთო გადმომლახველნი, მათ დაყარეს იარაღი და ხელები ასწიეს. მე შევუდექი მათ ჩხრეკას. ჯერ კიდეც ბნელოდა და, პირველ ორს რომ ვჩხრეკდი, ვერ შევნიშნე, როგორ ჩამოსწია მესამე ბანდიტმა ხელი და დანა მოიმარჯვა, რომ საფეთქელში დაეკრა ჩემთვის.

ჯულბარსმა შენიშნა ეს მოძრაობა და, როგორც კი ბოროტმოქმედმა ასწია ხელი დანის ჩასაცემად,

ბანდიტი იძულებული გაეხდა უკიდურესი ზომისათვის მიმემართა, მაგრამ შევბოქე იგი და ტაიგაში დავაგდე.

ახლა კი დრო მქონდა ძაღლისათვის მიმეხედა. ჯულბარსი ჩემ გვერდით იდგა და მზად იყო ყოველ წუთში კვლავ დამხმარებოდა. მე უცებ მივუსვამოვუსვი ირგვლივ ხელი და დაჭრის ნიშანწყალიც რომ ვერ ვიპოვნე, ვუბრძანე დასდგომოდა გაქცეული გადმომლახველის კვალს. ძაღლმა კვალის აიღო და გაიქცა.

გზაში შევნიშნე, რომ ჯულბარსი მძიმედ სუნთქავდა და რაღაც უცნაურად სლუკუნებდა. ორ-სამ წუთში ერთხელ შეჩერდებოდა ერთი წამით, და მაშინ მესმოდა, რომ ყელში რაღაც ისე ურაკრავებდა, თითქოს ბევრსა და ხარბად სვამსო. შეჩერების დრო არ იყო, ძაღლი კვალს მიჰყვებოდა, და მე არ შემიწყვეტივინებია მისთვის მუშაობა.

უკვე გათენებული იყო, როდესაც ჯულბარსმა კოლმეურნეების კარაპანთან მიმიყვანა. ჭიშკარი ღია იყო, ჩვენ თავისუფლად შევედით შიგნით. ახალი თივის ბულულში ფეხი მოუჩანდა საზღვრის გადმომლახველს. მას ეძინა.

ჯულბარსი, ჩვეულებრივ, მჭახე ყეფით ეცემოდა ხოლმე ბოროტმოქმედს, ახლა კი მისი ყანყარატოდან მხოლოდ ყრუ კენესა მოისმა, რასაც მოჰყვარაღაცის რაკრაკი. ძაღლის საქციელმა გამაოცა. მე დავინახე ჯულბარსისაკენ და მხოლოდ მაშინ მივხვდი მისი უცნაური ქცევის მიზეზს: ჯულბარსს მთელი ენა შუაზე ჰქონდა გაჭრილი, ერთერთი წინა კბილის ადგილას კი ღრმა ჭრილობა ჰქონდა, საიდანაც სისხლი სდიოდა, რომელიც სუნთქვასაც უშლიდა და კვალის მოძებნასაც.

მე სწრაფად წამოვაგდე გაქცეული, მივიყვანე იმ გადმომლახველთან, რომელიც ტაიგაში დავაგ-

დე, და მერე ორივე მივიყვანე საზღვრის საყარა-
ულში.

ორ თვეს იავადმყოფა ძაღლმა. მთელი ამ ხნის
განმ ვლობაში მას განსაკუთრებული ყურადღებით
ვუვლიდით, ექიმე ი მკურნალობდნენ.

ნაბევარი წლის შემდეგ მან ორნი გადაგვარჩინა
სიკვდილს—მე და წითელარმიელი შილოვი.

ეს მოხდა 1916 წლის გაზაფხულზე. დილის ოთხ
საათზე მე, წითელარმიელი შილოვი და ჯულბარსი
დანჯღრეული ნავით გადავდიოდით სწრაფი მდინა-
რის სუიფინის ეგორე ნაპირზე. წვიმების პერიო-
დი დგებოდა საღდაც, მდინარის სათავეში, უკვე
წვიმები დაიწყო, მდინარე აკლდა და აქაფდა.

ნიჩბები არ გექონდა, მათ მაგიერ ლატას ვი-
ყენებდით. მდინარის შუაგულში ნავი მორევში მოხ-
ვდა, დატრიალდა, წყალი შეუვიდა და ჩაიძირა.

წყალში ჩავცვივდით; ცურვა ვიკოდით, მაგრამ
დასველებული ტანისამოსი, მძიმე ჩანთა, ჩექმები
და იარაღი გვიძირავდა, ჩვენ ვიბრჩობოდით.

ამასობაში ძაღლმა გაცურა, ნაპირზე გავადა,
დაჯდა წყნარად და იცდიდა, თუ როდის გავათა-
ვებდით ბანაობას. მე დავიყვირე:

— ჯულბარს!

მყისვე გადმოხტა ჯულბარსი წყალში და ცურვით
წამოვიდა. მე მხოლოდ თავი მომიჩანდა წყალში.
ჯულბარსმა ჩაფხუტი მომხადა ღ ნაპირისაკენ გაცურა.
წინათ ის ხშირად მეთამაშებოდა ასე, ჩემთან მოჰ-
ქონდა ნაპირიდან და უკანვე მიჰქონდა სხვადასხვა
ნივთი. მე უკვე წყალს ვცლაპავდი. უკანასკნელი ძაღ-
ლონე მოვიკრიბე, ერთხელ კიდევ დაუძახე ძაღლს

და კიდევ ჩაძირა. არ მახსოვს ამის შემდეგ რა
მოხდა, ხოლო როცა გონს მოვედი, უკვე ნაპირზე
ვიყავი.

ამხანაგებმა მიაშბეს, მერე რაც მომხდარიყო:

ჯულბარსი მიხვდა. ჩემი პატრონი როდი ბანაობსო,
დააგლო ქუდი და იმ ადგილს მოაშურა, სადაც მე
ჩამაირა. ერთ წუთს ჯულბარსი დაბნეული იყო. მას
ეშინოდა წყალში თავის ჩაყოფის, ვინაიდან იცოდა,
რომ ყურებში იმწამსვე წყალი ჩაუვიდოდა; მან იმა-
მალლა დაიწყო ყეფა.

ჯულბარსის ყეფა გაიგონა მესაზღვრემ, რომელიც
ნაპირზე დარჩა.

მან უკვე გაიხადა ტანისამოსი და ძაღლის და-
ხმარებით ამომიყვანა წყლიდან.

ჯულბარსი მესამედაც შევიდა წყალში და მსაზღ-
ვრის დახმარებით გადაარჩინა მებრძოლი შილოვი.


სალამოს, როდესაც ჩემი მეგობრის სანახავად
მივედი, ასეთ სურათს წავაწყდი:

გალიაში წვეს ჯულბარსი. მის მახლობლად გაზე-
თზე სხვადასხვა გემრიელი საჭმელების მთელი ბრო-
ვია, მაგრამ გამგონე ჯულბარსი არ აჰყოლია ცდუნე-
ბას, სხვისი ხელით მოწოდებულ საჭმელს პირს არ
აკაოებს. გალიის გვერდით ჩაცუტქულა მებრძოლი
შილოვა... და ტირის.

როდესაც მე და ჯულბარსი მოსკოვში მივემგზავრე-
ბოდით, საღგურზე შილოვი გვიცდიდა.

— მოვედი, რომ ჯულბარას გამოვემშვიდობო,—
მიპასუხა მან შეკითხვაზე.

თარგმანი შ. თაბუჯაშვილისა.



ნამკვირვა ღმერთი



შორეულ აღმოსავლეთში,
სადაც ყინვა და ქარია,
სადაც სამშობლოს დარაჯად
დღეს ბლიუხერის ჯარია,

არის შემთხვევა მრავალი,
ჩაღდება ცეცხლის აღია,
და ხშირად ჰბედავს მტარვალნი
ჩვენზე აღმართოს ხმალია.

ვინ იცის, რამდენ გარეწარს
სურს სისხლის ღვარის დინება,
მაგრამ მტერს უმაღლესად
თუ მან თავდასხმა ინება!

მოსაზღვრე მხედრის ვაჟია
გივი გულშეუპოვარი,
ღამით, ყინვაში, ქარშია
თვალთაგან ცეცხლის მფრქვეველი.

იგი ჯერ ათი წლის არის,
მას იცნობს მთელი სოფელი,
ბევრჯერ შენიშნა მტრის ჯარი
და ასახელა მშობელი.

ერთხელ ცამ ბნელით მოცულმა
დასავლეთიდან იალა,
და ჯაშუშთა ბრბომ მოსულმა
ტყე-ღრეში გაიშრიალა.

გივი საეჭვო ხმაურზე
უმალ გაიჭრა კარშია,
„შევატყობინებ მესაზღვრეს“
მსწრაფლ გაუელვა თავშია.

ალარ შეჩერდა, წავიდა,
გაჰყვა ბილიკებს ღამიანს
და მტრის ფარული განზრახვა
აცნობა წითელ არმიას.

ბავშვს გაკვირვებით უსმენდნენ,
დაჰკრეს საბრძოლო ნალარა,
მტრის ბანაკს შემოუარეს,
ჯარმა მტრის სისხლი დაღვარა.

რაზმი მთლიანად შეიპყრეს,
სულ იყო ასი მზვერავი,
მათი ზრახვები შეიტყვეს,
ვერც გაიპარა ვერავინ.

და როცა ღამის გზირივით
მთვარე გამოჩნდა ხევშია, —
გივი დაბრუნდა გმირივით
ბატარა ხმალით ხელშია.

არ მოიცილებს საჩუქარს
ის თავის სიცოცხლეშია
და მტერს სიცოცხლეს ჩაუქრობს,
კვლავ თუ ჩაიგდებს ხელშია.



ჭიათურა

1.

ჭიათურა შავი ქვის ქალაქია.

შავი ქვა ძვირფასი მადანია. შავი ქვა რომ არ ყოფილიყო, ჩვენი მატარებლები ვერ გაირბენდნენ რელსებზე. რატომ? იმიტომ, რომ გრძელსა და ვიწრო რელსებს სიმტკიცესა და გამძლეობას შავი ქვა აძლევს. რელსები ფოლადისაა. ფოლადს თუ შავი ქვა არ შეერია, სიმტკიცე არ ექნება.

ფოლადივით მაგარიყო — იტყვიან ხალხში. აი, სწორედ შავი ქვა აძლევს სიმტკიცეს ფოლადს. ყელის ტკივილის დროს ჩვენ წამალს გამოვივლებთ ხოლმე ყელში. ამ წამალში ურევია შავი ქვა, ანუ მარგანეცი.

ჩვენი წითელი არმია შექმურვილია საუკეთესო იარაღით. ასაფეთქებელ იარაღებში მარგანეცი აუცილებელია.

ჩვენს ფანჯრებში რომ მინებია ჩასმული, იმ მინებშიაც მარგანეცი ურევია. მარგანეცი რომ არ ყოფილიყო, კარგი მინაც არ გვექნებოდა. და კიდევ ბევრი, ძალზე ბევრი გამოყენება აქვს შავ ქვას.

მაშასადამე, შავი ქვა რომ არ ყოფილიყო, ჩვენი ცხოვრება ძალზე შეფერხდებოდა.

შავი ქვა არა მარტო ჭიათურის, მთელი ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეა. ამ სიმდიდრეს ამუშავებს და გვაძლევს ქალაქი ჭიათურა.

ჭიათურა მდინარე ყვირილის ნაპირზე მდებარეობს, ვიწრო ხეობაში. ხეობა იმდენად ვიწროა, რომ ზოგან მთის ძირიდან მდინარეზე რამდენიმე ათეული ნაბიჯია. ამიტომ სახლები მთის კალთებზე დაკიდებული გალიებივით.

ჭიათურის მთებს რომ დაუკვირდეთ, შავი ფერისაა. შავი ფერი აქვს ჭიათურის გარშემო მოჯირილ მთა-გორებსა და მინდვრებსაც. ეს იმიტომ, რომ ამ მთა-გორებისა და მინდვრების წიაღში შავი ქვა ბუდობს.

ამ ადგილების ზედაპირი მწირია. წინათ აქ გაშენებული იყო სოფლები, მაგრამ ვენახი არ ხარობდა, სიმინდი ჩია იყო, ხეებიც საწყალი. წინათ აქაური გლეხობა სიღარიბეში ღაფავდა სულს და შავ ქვას, მიწის ზედაპირზე დაყრილს, ქვა-გუნდას, ანუ მწირ ქვას ეძახდა.

ერთის მხრივ მეტატონეები აწუხებდნენ გლეხებს,

მეორეს მხრივ ეს შავქვიანი მწირი მიწა, რომელიც მოსავალს არ იძლეოდა.

შეწუხდა, ძალზე შეწუხდა ღარიბი გლეხობა და ასე დაიწყებდა:

— უი შენ და შავი ქვა!

დიდხანს, დიდხანს აშინებდა შავი ქვა გლეხობას.

2.

ჭიათურის ახლოს 12 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს სოფელი საჩხერე. ეს არის ჩვენი საამაყო პოეტის აკაკის სოფელი.

ერთხელ აკაკიმ ყური მოჰკრა მამამისისა და მოურავის საუბარს. მამა არიგებდა მოურავს.

— წირქვალური პური სხვა პურში არ აურიო, არ დამლუბო.

წირქვალი ჭიათურის მახლობელი სოფელია, სადაც ყანები ჰქონდა აკაკის მამას.

აკაკი დაინტერესდა და ჰკითხა მამას:

— რატომ არ ვარგა წირქვალური პური?

— წირქვალში შავი ქვაა, — უპასუხა მამამ. — მართალია, თავისთავად მარცვალი მსხვილი იცის, მაგრამ „შავი მიწა“ თუ შეჰყავა, აღარაფრად ღირს. ერთი ნამცეცეც საკმარისია, რომ პური ტალახივით გააშავოს.

აკაკი წავიდა წირქვალში და გასინჯა მიწა. მართლაც, უცნაური იყო მიწა — კუბრივით შავი. აკაკიმ აიღო რამდენიმე შავი ქვა და გახვია ქალაქში, თბილისის წაიღო.

მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ შავი ქვა ძვირფასი მადანია!

შავი ქვის ამბავი მთელ ქვეყანას მოედო. მიწის ფასმა ძალზე აიწია. მიწის გარშემო ბევრი დავი-ღარაბა ატყდა.

ერთი მეტატონე აბაშიძე ედავებოდა ერთ გლეხს;

— მე შენ, მართალია, მოგყიდე მიწა, მაგრამ განა მთელი სისქით... მე შენ ერთი მტკაველის გინდა ორი მტკაველის სისქით მოგყიდე მიწა, სწორედ იმდენი, რამდენიც სიმინდისა და ბალახისთვისაა საჭირო, მაგრამ მიწის წიაღი არ მომიყიდე, ეს ჩემია.

მრეწველებმა მიწები ან შეისყიდეს, ან იჯარით აიღეს და გათხარეს მალაროები. მალაროებს უამრავი მუშა მოაწყდა. მუშებსა და მრეწველებს თან მოყვნენ ხელოსნები, ვაჭრები, მოხელეები. რასაკვირველია, პოლიციაც თავისი ხმლითა და მათრახით.

ჭიათურაში ცხოვრებამ დუღილი დაიწყო.

კაპიტალისტების ხელში მუშები საშინელს პირობებში მუშაობდნენ. დრო განსაზღვრული არ იყო, და მუშებს 16—18 საათს ამუშავებდნენ. იყო ერთი მწარმოებელი გიგია. მას ამორჩეული ჰქონდა ისეთი ვარსკვლავი, რომელიც ყველაზე გვიან ამოდიოდა. გიგია მუშებს ასე ეუბნებოდა:

— აი, მე ვარსკვლავის ამოსვლამდე იმუშავეთ. ის ვარსკვლავია ჩემი დროის მაჩვენებელი.

მუშებმა იმ ვარსკვლავს გიგიას ვარსკვლავი უწოდეს. იმ დროს მუშებისათვის არც საერთო საცხოვრებელი იყო, არც კეთილმოწყობილი ცალკე ბინები. დროც არ იყო მაღაროდან ბინამდე წასასვლელად, რადგან გიგიას ვარსკვლავი ზანტი იყო და გვიან ამოდიოდა. ამიტომ მუშები იქვე იძინებდნენ, მაღაროებში.

ბნელი იყო მაშინდელი მაღარო. ბუტავდა გამურული ჭრავი. არ იწმინდებოდა ჰაერი, და სული ეხუთებოდა მუშას. წყალი ჟონავდა მაღაროს კედლებიდან და გუბდებოდა მაღაროში. ამ წყალს ნაჟურს ეძახდნენ და, მაღარო რომ არ აეტალახებინა, პატარ-პატარა კალაპოტს უკეთებდნენ მაღაროდან გასასვლელად.

აი, ამ სველ მიწაზე ეძინათ მუშებს. სისველისა და ტალახისაგან რომ თავი დაეცვათ, ანწლსა და გვირას დაყრიდნენ და ასეთ ლოგინზე წვებოდნენ. იმჭვარტლებოდა მაღარო, ცხვირით ვერ სუნთქავდნენ და თევზივით აღებდნენ პირს.

მადნის ამოღება ბარბაროსული წესით წარმოებდა. უშიშროებაზე არავინ ზრუნავდა, და ხშირი იყო უბედური შემთხვევა. ჩამოინგრეოდა მაღარო და გაქექყავდა მუშას. გამკითხავი ვინ იყო? თუ მუშა შორით მოსული იყო და ახლობლები არ ჰყავდა იქვე მიაყრიდნენ შავ ქვას. თუ ნათესავი მოვიდოდა წასაღებად, მწარმოებელი ერთ-ორ მანეთს მიუგდებდა ჭირისუფალს.

მაღაროებში იმ დროს ბავშვებსაც ამუშავებდნენ. ფეხშიშველა, გამხდარი, ჩამოგლეჯილი ბავშვები დიდიდან საღამომდე მუშაობდნენ. დღეში მათ ორ ან სამ შაურს აძლევდნენ არც სწავლა იყო მათთვის და არც გათბობა.

ძალიან მძიმე იყო მუშაობა, მაგრამ ხალხი მაინც მიდიოდა სამუშაოდ. მრეწველები ოქროს ბოჭავდნენ და განცხრომით ცხოვრობდნენ, მუშები კი შავ ქვას აკლავდნენ თავს.

და მაშინ ხელახლა დააწყველა ჭიათურამ:

— უი შენ და შავი ქვა!

4.

თვითმპყრობელობასთან და კაპიტალისტებთან ბრძოლის ცეცხლი ჭიათურის მაღაროებში პირველად ხალხთა ბელადმა დიდმა სტალინმა დაანთო. 1902 წელს დიდმა სტალინმა პირველმა

და პირველად გამოიყვანა ბათომის პროლეტარიატი თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად. ბრძოლაში ჩაბმულმა მუშებმა დიდი სტალინის ანგარიშს სიტყვა მთელ ქიევიანს მოჰფინეს. ბათომიდან გადმოსახლებულმა მუშებმა ჭიათურაშიაც ჩამოიტანეს დიდი მასწავლებლის აზრი და სიტყვა. დიდ სტალინს მაშინ მასწავლებელს ეძახდნენ არალეგალურ წრეებში.

ჭიათურის მუშებმა თვალი გაახილეს, შეკავშირება დაიწყეს, 1905 წლის რევოლუციაში ჭიათურის მუშებმა დიდი ბრძოლები გადაიხადეს. ამ ბრძოლებს ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ დიდი სტალინის მეთაურობით. დიდი მასწავლებელი თვითონ იყო ჭიათურაში, ჩამოაყალიბა ბოლშევიკური ორგანიზაცია, მოაწყო არალეგალური სტამბა, რამდენიმეჯერ ბრძოლა გაუმართა მენშევიკებს, ესერებს, ანარქისტებს, ფედერალისტებს და გაანადგურა ისინი საერთო კრებებზე.

5.

დღევანდელი ჭიათურა სრულიად არა გავს ძველს ჭიათურას.

დღეს ჭიათურის მაღაროებში ელექტრობა ანათებს, მექანიზირებულია ყველა სამუშაო, გაყვანილია საჰაერო გზები მარგანეცის გამოსაზიდავად, მოწყობილია ელექტრობისა და სამოტორო ზიღვა, მაღაროებში ვენტილაციაა და ჰაერი იწმინდება. წერაქვის ნაცვლად მანქანები მუშაობენ, შემოღებულია 7 საათის სამუშაო დღე და დაცულია უშიშროება. ჭიათურის მაღაროები დღეს სოციალისტური შრომის კულტურული მაღაროებია, და მუშებიც ხალისით მუშაობენ იქ.


მუშაობის შემდეგ ჭიათურელი მუშა ტანს დაიბანს და თეატრში, კლუბში, ან ქალაქის ბაღებში გაემართება სასეირნოდ.

ჭიათურა და ბაღები... წინათ ეს ზღაპარი იქნებოდა. ახლა კი ჭიათურას სამი ბაღი აქვს. ახლა ჭიათურა სუფთა და ლამაზი ქალაქია. ქალაქის შუაგული ქუჩები ასფალტითაა მოგებული, ხოლო მთის კალთებზე შემართული ქუჩები თეთრი ქვითაა მოკირწყლული.

წინათ ჭიათურაში ქონხაბები იყო ძიყრილ-მოყრილი. ახლა მრავალსართულიანი შენობებია წამოქიმული. ქალაქს აქვს კანალიზაცია, წყალსადენი, აბანოები, მშენიერი სკოლები და გამოსასვლელი დღის უნივერსიტეტი. შენობებს თეთრი ფერი აქვს. ჭიათურა განგებ ეტანება სუფთა თეთრი ფერს, რომ ძველთან განსხვავება უფრო თკალსაჩინო იყოს.

— შავი ქალაქი, — ასე ეძახდნენ ძველად ჭიათურას.

— თეთრი ქალაქი, — ასე უნდა დაუძახონ ახლა ჭიათურას. ასე შეცვალა ჭიათურა ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ.



სამი ათასი წლის წინაჲ

(წიგნიდან „ეგვიპტელები“)

საქართველოდან ძალიან შორს, ხმელთაშუა ზღვის იქით არის ქვეყნიერების ყველაზე უფრო ცხელი, მაგრამ მშვენიერი და თვალწარმტაცი მხარე, რომელსაც აფრიკა ეწოდება. აფრიკის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს მისი სიამაყე. ზღაპრული ქვეყანა — ეგვიპტე.

ეგვიპტე ფერადი მთაგრებილების შუაა მომწყვდეული; აღმოსავლეთის მხრით მის მარადულად ამწვანებულ და აყვავებულ ბუნებას თავს დაჰყურებს ვერცხლისფერი მთაგრებილი, ხოლო დასავლეთით — ბაჯალლო ოქროს ფერი ლივიის მთაგრებილი. ამ ორ მთაგრებილს შორის განსაკუთრებულ ლამაზ სანახაობას წარმოადგენს ლივიის მთაგრებილი. ამ მთაგრებილის კიდეები აფერადებულია იშვიათი ქვების ფენებით.

ფერად მთაგრებილთა შუა ეგვიპტე მწვანე ველივითაა ჩაწოლილი. ამ ლამაზ ქვეყანას მთელ სიგრძეზე შუაზე ჰრის ცისფერი ზოლით მდინარე ნილოსი. მახ, სადაც ისაც კი მისწვდა მისი ტალღები, უდაბნო ააყვავა და დაამშვენა. მის ნაპირებზე პირველად დაიხსთო კაცობრიობის კულტურის ჩირაღდანი.

ჩემო მკითხველო, ოცნებით გადავიფრინოთ საუკუნეები, გავეშავროთ ეგვიპტეში და გავეცნოთ, როგორ ცხოვრობდნენ და როგორ იბრძოდნენ არსებობისათვის ეგვიპტელები ქალაქ ფივში სამი ათასი წლის წინათ.

გადავლახოთ ზღვა და ხმელეთი, ავყვეთ მდინარე ნილოსის მშვენიერ ნაპირებს, ავიდეთ ზედა ეგვიპტეში და ვეწვიოთ სახელგანთქმულ ქალაქს. აი, ჩვენი სასურველი ფივიც თავის ბრწყინვალე სასახლეებით, უზარმაზარი ტაძრებით, საარაკო სიდიდის ქანდაკებებით, წითელი გრანიტის მაღალი ობელისკებით, თოვლივით თეთრი სფინქსების ტყეებით, ხელოვნური ტბებით, აუზებით და თვალწარმტაცი ბაღებით. აი, ეგვიპტელთა საგანე — ლივიის მთებიც, თავისი აურიცხავი სასაფლაო-აკლდამებით...

ნილოსი ქალაქ ფივს ორად ყოფს: მარჯვენა ნაპირზე აღმოსავლეთით გაშენებულია ე. წ. „ცოცხალთა ქალაქი“. მარცხენა ნაპირზე დასავლეთით —

„მკვდართა ქალაქი“. ორივე ქალაქი დატულია მძლავრი ჯებირებით, რომ ნილოსმა ადიდების დროს მოსახლეობა არ დაზარალოს. ჯებირებიდან ორივე ქალაქისკენ მიიმართება ფართო არხები, რომლებშიაც გედფით ყელმოღერებული კობტა ნავეები დასრილებენ.

ნილოსის ნავსადგურში დგას სხვადასხვა საქონლით დატვირთული მრავალი ხომალდი. ზოგი ფივიდან აპირებს გამგზავრებას სხვა ქალაქისკენ, ზოგს კი მემფისიდან მოუტანია საუცხოო ღვინოები და უცდის განტირთვას.

გავეცნოთ „ცოცხალთა ქალაქს“, ქალაქის დათვალიერება დავიწყოთ განაპირა უბნიდან, სადაც ცხოვრობს მოსახლეობის დაბალი ფენა. ვნახოთ, ამ მდიდარ ქალაქში როგორ ცხოვრობს მშრომელი ხალხი...

რა საბრალოდ გამოიყურება ღარიბთა საცხოვრებელი ბინა! თიხანარევი მიწის დაბალი კედლები, ზევიდან გადახურული პალმების ფოთლებით... შიგნით წარმოუდგენელი სიღარიბე გეცემათ თვალში: უბრალოდ გაკეთებული ხის დაბალი საჯდომები, სარეცელის მაგივრად — ქილობი, ლეიბად თივაქ ერთი ორი ხის ყუთი, ორი ბრტყელი ქვა ხორბლის დასანაყად, სანოვაგის შესანახავი საკუქნაო, უკან კედელთან — კერა, რამდენიმე თიხის ქოთანნი, ჯამები და ხის კოვზები; — აი ეგვიპტელი მონის მთელი ქონება... რა ქნას, არც დრო აქვს და არც საშუალება, რომ შესაფერისად მოაწყოს თავისი ბინა და ადამიანურად იცხოვროს. ხშირად თვეობით მოწყვეტილია თავის ცოლშვილს; იხდის სახელმწიფო ბეგარას, მუშაობს ფარაონისა და ქურუმებისათვის, აგებს სასახლეებსა და ტაძრებს, გაჰყავს არხები და თხრის მიწას ხელოვნური ტბებისათვის. რასაკვირველია, ამ შრომისათვის ის არაერთარ გასამრჯელოს არ იღებს.

როცა შინ არის, განთიადს ფეხზე ამდგარი უნდა შეხედეს, რომ ბაზარზე დროზე მიასწროს მისვლა და სამუშაოს შოვნა. წინაღლით ნამუშევარს, დაღლილ-დაქანცულ მის სხეულს ვერ მოუხწვრია დასვენება და ძალის აღდგენა, რომ ის უკვე გარბის ლუკმა პურისათვის. დაგვიანება შიმშილია, და ეს

კარგად იცის მან. შიმშილის აჩრდილი მოსვენებას არ აძლევს და ძალუმად მიერეკება საბრალოს არსებობის შესანარჩუნებლად... ტანისამოსის ჩაცმას დიდხანს არ უნდება და არც აქვს ჩასაცმელი; ავარდება თუ არა ლოგინიდან, თავს წაიკრავს სელის ტილოთი, რომ მხემ არ დასიცხოს, ტანს ზემო ნაწილს არაფრით არ იფარავს, რადგან სიცივე არ შეაწუხებს, ხოლო აფრივის ცხელ მზესთან შეგუებული და გაკეუებულია მისი კანი. ტანის ქვედა ნაწილზეც შემოიხვევს სელის ტილოს, რომელიც მუხლებამდის ძლიერ სწვდება, და ფეხშიშველი გარბის სამუშაოს საძებრად...

მთელი დღე ორად მოხრილი, თავჩაღუნული, შეუჩერებელი მუშაობს და ოფლში იწურება. დღეში მხოლოდ ერთხელ შეისვენებს ნახევარი საათით, რომ სული მოითქვას და პური ჭამოს. სადილი არა აქვს სახარბიელო: ორი-სამი თხელი ხმიადი, რამდენიმე თავი ხახვი და ნილოსის წყალი. ამით უნდა გაძლოს მთელი დღე და შეასრლოს ჯოჯოხეთური სამუშაო.

გვიან, ღამით, დალილ-დაქანცული კვლავ ბრუნდება თავის ოჯახში. სახელდახლოდ შექამს ცოლის მიერ დამზადებულ ღარიბულ ვახშამს—მუხუდოს წვენს—და იქვე გამზადებულ ლოგინზე მიწვება.

როცა ქმარი სახელმწიფო ბეკარაზეა წასული, ოჯახს ცოლი არჩენს. ყოველდღიურად მიდის ბაზარზე და მიაქვს გასაყიდად კვერცხები—თუ ფრინველი ჰყავს, რძე კარაქი—თუ ძროხა მოეპოვებათ. მაგრამ შრომელ ოჯახს ძროხა იშვიათად ჰყავს. უფრო ხშირად ქალებს მიაქვთ თავისი მოქსოვილი სელის ტილო, უსახელო გრძელი კაბა, ისეთი, როგორც თვითონ აცვიათ, ქვეშ დასაგები ქილოები, ან სხვა რაიმე თავისი ხაწარმი.



ფეხიშველი მამაკაცი

ღმლით აღრიან დგება, ჯერ შევიღებს დააბაფრებს, შემდეგ ყველას საქმეს გაუჩენს. ერთს წყლის მოსატანად გაგზავნის, მეორეს—ბატების სამწყვდელ უფროსს კი ხორბლის დანაყვას დაავალებს; თუ ჩვილი ბავშვი ჰყავს, ერთ ხელში ბავშვს დაიკავებს, მეორეში—გასაყიდ საქონელს და ბაზრისკენ მიემურობა... ჩვენც გავყვეთ მას და გავეცნოთ ფივის ბაზარს.

რამდენადაც ბაზარს ვუახლოვდებით, სურათი თანდათან იცვლება. აგურისა და ქვის მაღალი შენობები კობტად გამოიყურება. ანუვანებულ ეზოებს ამშვენებს ფინიკის პალმები და აკაციის ხეები. ეზოებს ქვის გალავანი აქვს შემოვლებული. ეტყობა, აქ მდიდრები ცხოვრობენ.


ბაზრისაკენ მიმავალი ქუჩები ვიწროა და ბნელი, მაღალი სახლები ერთიმეორის გვერდითაა ჩამწყრივებული. ქუჩიდან მოჩანს მხოლოდ მათი უკანა კედლები. აივნები და ფანჯრები ეზოს მხრიდან აქვთ გაკეთებული. მიდინარ ამ უხალისო მაღალ კედლებს შუა და მოთმინება გეკარგება—როდის გახვალ გამწვანებულ ადგილზე... და აი ბოლოს გამოინდება ხალხით გაქედილი მოედანი. ჩვენ ქალაქის ერთერთ ბაზარში ვართ.

ერთი კედლის გასწვრივ ჩამწყრივებულან გლეხები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით: ხორბალი, ბოსტნეული და ხილი. სანოვავე გაუშლიათ ხის დაბალ მაგიდებზე. აქვე არიან ყასბები, რომელთაც ქვის მაგიდებზე დაუწყვიათ ხარის, ძროხის, ხბოს და თხის ხორცი. მათ გვერდით მოთავსებულან შინაური ფრინველით მოვაჭრეები და მეთევზეები. ყველა ხმამალა უხმობს ძყიდველს და აქებს თავის საქონელს. მოპირდაპირე კედლის გასწვრივ ჩამწყრივებულან ხელოსნები, ოქრომჭედლები, ფეიქოები და მეწაღეები. მოედანზე მრავლად ირევიან შოვაჭრენი და შინამრეწველნი.

ბევრი არიან უცხოელი ვაჭრებიც, მოსულნი ნუბიიდან, ეთიოპიიდან (აბისინიიდან), ასურეთიდან, ფინიკიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ნუბიისა და ეთიოპიის ვაჭრებს გასაყიდად მოუტანიათ ძვირფასი ბეწვეულები, ნადირის ტყავები: ლომის, ვეფხვის, ჯიქის, პანტერასი, სპილოს ეშვები, ნიანგის ტყავიდან გაკეთებული სხვადასხვა საგანი; ძვირფასი ქვები და აგრეთვე ოქროს ჩამოსხმული ზოდები. ასურელებს—ფერადი ქსოვილები, ფინიკიელებს—ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის ნაწარმი.

მოედანზე არც ერთი კაცი არ არის, რომ გასაყიდად რაიმე ნივთი არ ექიროს ხელში. ერთი შეხედვით იქნება შთაბეჭდილება, თითქოს მარტო გამყიდველებს მოუყრიათ თავი და მყიდველები კი არსად არიანო. მაგრამ ეს ასე არ არის. ყოველი გამყიდველი თავის მხრივ მყიდველია. მას გამოუტანია თავისი ნაწარმი, რომ სხვა საგანზე გადაცვალოს: იყიდოს ისეთი საგანი, რომელიც მისთვის საჭიროა.

ერთი მეორესთან მიდის, სთავაზობს თავის ნაწარმს, სამაგიეროდ ითხოვს მისთვის საქირო საგანს. ხდება საქონლის ერთიმეორეზე გადაცემა. მაგრამ ასეთი ხერხით ვაჭრობა ძალიან ძნელია და მხარეებისათვის არც მაინცდამაინც ხელსაყრელი. ზოგი ტყუედება, ნაკლებს იღებს, ვიდრე მისი საქონელი ღირს; ამიტომ ვაჭრობის გასაადვილებლად შემოღებულია წონა უთნუ (უთნუ უდრის 92 გრამს). სხვადასხვა წონის ოქროს, ვერცხლის და სპილენძის ბეჭდები ასრულებს ფულის მაგივრობას.



მდიდარი ეგვიპტელის გასეირნება

ბაზრის ერთ ქუჩაზე ჩამწკრივებულია მალაზიები და ღუქნები. მალაზიები სავსეა სხვადასხვა საქონლით; ოქროს და ვერცხლის ქამრებით, სამაჯურებით, ბეჭდებით, საყურეებით, თავსართავებით, ფერადფერადი ქსოვილებით, ბეწვეულობით, ტყავეულობით, ხალიჩებით და ფუფუნების სხვადასხვა საგნით, ფერადი მინის *) ვაზებით და სასმისებით.

მეორე ქუჩაზე ჩამწკრივებულია ოქრომქედლების, ფეიქრების, მღებავების სახელოსნოები. მესამე ქუჩა მეტყავეებს აქვთ დაკავებული, ქუჩის ბოლოში მოთავსებულია სასადილოები, სამიკიტნოები და ლუღხანები. სამიკიტნოებში მრავალნაირი მაგარი სასმელია: სხვადასხვა ხარისხის თეთრი და წითელი ღვინოები, სურნელოვანი ლიქიორები და ფინიკის პალმისაგან გამოხდილი არაყი.

ფივეში ვაჭრობა წარმოებს მზის ჩასვლამდის, ბაზრის მოედანი თანდათან იწყებს დაცარიელებას. ვისაც მოუსწრია თავისი ჭირნახულის გაყიდვა, მახლობელ სოფლისაკენ სახედარს აჩქარებით მიერეკება, ვისაც ვერ მოუსწრია საქონლის გაყიდვა, ღამის გასათევად საერთო ბინაში მოთავსებულია. მალაზიები, ღუქნები და სახელოსნოები იკეტება, ყველა შინისაკენ მიეშურება, ღარიბები—დაქანცული სხეულის დასასვენებლად, მდიდრები კი დროს გასატარებლად.

მდიდრები და წარჩინებულნი ერთმანეთთან ოჯახებში მიდიან და გათენებამდე ატარებენ დროს.

დროს გასატარებლად ყველა წარჩინებულ ეგვიპტელს სპეციალურად გამოყოფილი აქვს დიდი დარბაზი, სადაც ეწყობა მუსიკალური კონცერტები და წარმოდგენები. დარბაზის კედლების გასწვრივ სტუმრებისათვის ჩამწკრივებულია რბილი სავარძლები, ქალებისათვის ერთ მხარეს, კაცებისათვის კი მეორე, მოპირდაპირე მხარეს. ქალების სავარძლების წინ პატარა მაგიდაზე დგას ცოცხალი ყვავილებით სავსე ბროლის ვაზები. კაცების წინ დაბალ მაგიდაზე შაშის დაფაა გაშლილი. შაშის კოჭები სპილოს ძვლისაა, წითლად და შავად შეღებილი.

კონცერტის მოლოდინში კაცები შაშით იქცევენ თავს. ქალები ერთმანეთთან საუბრობენ, უზიარებენ

*) ეგვიპტელებმა უძველეს დროიდან იცოდნენ მინის დამზადება.

დღისით მიღებულ შთაბეჭდილებას, მათ ახლოს ბავშვები ბურთის თამაშით არიან გაართული.

კონცერტი იწყება ცეკვით. ცეკვავენ უმთავრესად მონა ქალები. ეს არის პროგრამის პირველი ნაწილი. მეორეში იწყება საყოფაცხოვრებო ხასიათის პატარა პიესის გათამაშება. დასასრულს—მუსიკალურ-გოკალური კონცერტი. უკრავენ არფებზე, ფლეიტებზე, დოლზე და სხვა მუსიკალურ საკრავზე. მომღერლები ასრულებენ სხვადასხვა სიმღერას. როგორც წარმოდგენაში, ისე კონცერტში ყველა მსურველს შეუძლია მონაწილეობის მიღება და თავისი უნარის გამოჩენა. სტუმრები რიგრიგობით იღებენ მონაწილეობას და ყველა ცდილობს, რომ სხვაზე უკეთესად ითამაშოს ან იმღეროს. გამარჯვებულს დამსწრნი ტაშით და აღტაცებული შეძახილით აჯილდოებენ. ნიშნად ღრმა პატივისცემისა, ქალები ყვავილის თაიგულს მიართმევენ. მაგრამ გამარჯვების მოპოება არც თუ ისე ადვილი საქმეა, ყველა ერთიმეორეზე უკეთესად ასრულებს თავის როლს. ბუნებით დიდი ნიჭით დაჯილდოებულ ეგვიპტელს არტისტული ნიჭიც მოსდევს. ამას ხელს უწყობს მისი ვარეგნობა და შნოიანი მიხვრა-მოხვრა.

კონცერტის დასასრულს მასპინძელი სტუმრებს მეორე დარბაზში მიიპატიჟებს. მაგიდები სავსეა საქმელ-სასმელით და კაცები აქაც ცალცალკე სხედან. საქმელ-სასმელიც სხვადასხვანაირია: ქალების მაგიდებზე გაწყობილია ტკბილი სასმელები, ლოტოსის ფქვილიდან, მოხალული ნუშიდან და თაფლიდან გამზადებული გემრიელი და სურნელოვანი ნამცხვრები, დელტას მშვენიერი ყურძენი, ფინიკის ნაყოფი და სხვა სანუკვარი, კაცების მაგიდაზე კი ფრინველისა და საქონლის შემწვარი ხორცი, ნილოსის თევზი და საუცხოო ღვინოები.

დილადად გრძელდება ქეიფი, ღრეობა და დროს ტარება... არაფერზე არ წუხდებიან ისინი, რადგან სხვისი შრომით უხვად მოსდით ყველაფერი. ასეთია ქ. ფივის ე. წ. „ცოცხალთა ქალაქის“ სურათი.

(გაგრძელება იქნება)



წარმოიდგინეთ გოლიათი ვირთაგვა, მსხვილი, ქერცლიანი კუდით და მაგარი, ეშვისებრი ბასრი წინაკბილებით — ასეთია წავი, ანუ, როგორც სხვანაირად ეძახიან, თახვი.

წავის სამშობლოდ ციმბირი, კანადა და სხვა ქვეყნები ითვლება. ისინი ჩვეულებრივ ცხოვრობენ მდინარის სანაპიროებზე, ხშირი ტყეების მახლობლად და მთელს დროს „საინჟინრო“ მოღვაწეობაში ატარებენ. ფრანგი მწერალი გ. კუპენი, მეცნიერები მორგანი და აგასიზი საინტერესო ცნობებს იძლევიან წავის თავისებური ცხოვრების შესახებ.

ბინას წავეები გათლილი ხის შტოებისა და ტოტებისაგან წნავენ. დარჩენილ ცარიელ ადგილს ტალახით ლესავენ და ამგვარად იღებენ საკმაოდ მოზრდილ შენობას, რომლის სიგრძე 4 მეტრია, ხოლო სიგანე და სიმაღლე სამ-სამ მეტრამდე აღწევს. მათი ბინა ზოგ ქვეყანაში ორი სართულისაგან შედგება. ზედა ნაწილი დანიშნულია მოსასვენებლად, ბინის შესავალში საკუჭნაოა მოწყობილი, სადაც საკვები მარაგი ინახება. ქვედა სართული მიწის ხვრელ-დერეფნით მდინარესთან არის შეერთებული. ეს ხვრელი წყლის დონიდან მეტრნახევრით ძირს იმყოფება.

წავის უშიშროებისა და თავდაცვისათვის აუცილებელია მდინარეს დაახლოებით ერთნაირი დონე ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში აღიდებული წყალი ბინას მთლად წაუტეკავს. ჭკვიანი ცხოველი კარგად ითვალისწინებს შესაძლებელ საფრთხეს და ყოველმხრივ ცდილობს, მტკიცედ მოწყობილი საგუბრებით ხელოვნურად მოაწესრიგოს წყლის მოძრაობა. პირდაპირ განსაცვიფრებელია ის ძალა და უნა-



რი, რომელსაც იჩენენ შედარებით პატარა, სუსტი ცხოველები მძლავრი, საშიშარი, აბობოქრებული მდინარეების წინააღმდეგ ბძოლაში.

წავები თუ საკუთარ ბინებს ცალკეცალკე, დამოუკიდებლად იგებენ, საზოგადო საქმეში გაერთიანებული გამოდიან და თავდადებით ეწევიან საერთო საქმეს. საინტერესო სანახავია მათი მუშაობა ამ დროს. ზოგი ხეს „ჭრის“ ზოგი გზებს აკეთებს და სხვა.

ხეს ისინი მეტად მოხერხებულად „ჭრიან.“ მიუცუტკლებიან მდინარის პირას მდგომ ხეს და გამალებით ღრღნიან ბასრი მჭრელი კბილებით. როცა შეატყობენ, რომ საცაა ხე უნდა წაიქცეს, სწრაფად იმალებიან. ეშინიათ ხის წაქცევით არ მიიპყრონ მტრის ყურადღება. მდინარის ნაპირზე მოჭრილი ხე წყალში ვარდება. წყალში ჩავარდნილ ხეს ისინი ადვილად ამოძრავებენ და დანიშნულებისამებრ იყენებენ.

თუ ტყე მდინარიდან დიდ მანძილზეა დაშორებული, ისინი არ უშინდებიან ამ სიძნელესაც. მათ ტყიდან მდინარემდე გაყვანილი აქვთ ღრმა, ფართე და წესიერად მოწყობილი არხები. ეს არხები ხშირად ისეთ ადგილებშია მოწყობილი, სადაც თითქმის მუდმივ წყალი დგება. ამგვარი გზებით დასერილ ტყეში ისინი მოჭრილ ხეებს მარჯვედ მიათრევენ ან მიაცურებენ პირდაპირ მდინარისაკენ.

საგუბრის გასაკეთებლად ისინი უცნაურად ყრიან ან აწყობენ ხეებს მდინარეში. სიმტკიცის მისაცემად იყენებენ ვეება ქვევს, ლოდებს და სხვ.

იმის მიხედვით, თუ როგორია მდინარის ძალა და მიმართულება, შესაფერ საგუბარს აკეთებენ, წყლის აწევის და დაწევის მიხედვით ასუსტებენ ან აძლერებენ გაკეთებულ კაშხალებს.

მათი „საინჟინერო“ ხელოვნება ბევრ ბუნებისმეტყველს აოცებს. ზოგიერთი მეცნიერი კითხვას სვამს, წავი ყოველივე ამას შეგნებულად აკეთებს თუ შეუგნებლად? მეცნიერთა დიდი ნაწილი იმ აზრისაა, რომ წავი შეუგნებლად, ინსტინქტით მოქმედობს.

წავებს ბევრი მტერი ჰყავთ გველების, მხეცების და მტაცებელ ფრინველთა სახით. ისინი ქვეყნად მთლად გადაშენდებოდნენ, სწრაფი განვითარების უნარით რომ არ იყვნენ დაჯილდოვებულნი. ამავე დროს წავებს რომ თავისუფლად განვითარების საშუალება მიეცეს, ისინი მოკლე დროში მთელს მსოფლიოში სულ ერთიანად გაანადგურებდნენ მცენარეულობას.

საგზაო თანაშობანი

ხუთი ბარიერი



თანაშობათვის უნდა ამოარჩიოთ ისეთი ადგილი, რომელიც დაფარულია ბუჩქებით, მაღალი ბალახით და ბეჭობებით.

უნდა გაავლოთ სტარტის ხაზი, რომელიც აღნიშნება ორი დროშით. ასევე ორი დროშით აღნიშნება საბოლოო პუნქტი—ფინიში, რომელიც დაშორებული იქნება სტარტიდან დაახლოებით 100 მეტრით. სტარტსა და ფინის შორის აღნიშნება ხუთი ბარიერი, ხუთი დაბრკოლება. ეს დაბრკოლებები უნდა გადალახონ კავშირგამბმელებმა რაც შეიძლება სწრაფად, რომ პირველებმა მიაღწიონ ფინის ხაზზე და ცნობა მიიტანონ.

ბარიერები შეიძლება იყოს შემდეგნაირი:

1. მოწამლული ადგილმდებარეობის გადალახვა—ეს ადგილი აღნიშნება ორი ყვითელი დროშით, რომლებიც ერთმეორისაგან 20 მეტრით იქნებიან დაშორებული.


2. ტყვამფრქვევის ცეცხლის ქვეშ მყოფი ღია ადგილმდებარეობის გადალახვა—ესეც ორი დროშით აღნიშნება, ერთმეორისაგან 20 მეტრის დაშორებით. ამ ადგილის გადალახვა უნდა მოხდეს მუცელზე ან გვერდზე ხოხვით.

3. მოწინააღმდეგის სადაზვერვო ზოლის გადალახვა—ე. ი. საჭიროა გადალახვა იმ მოედნისა, რომლის კუთხეები დროშებით იქნება აღნიშნული. (მოედნის მოცულობა—20×20 მეტ.). მოედანზე ხუთი მზვერავია. კავშირგამბმელი ისე უნდა გასხლტეს ამ მოედნიდან, რომ მზვერავებმა გამურული ბურთი ვერ მოახვედრონ.

4. მოწინააღმდეგის საბრძოლო ხაზის გადალახვა. ამისათვის საჭიროა „ცეცხლის ხაზიდან“ ხელყუმბარის გადაგდება და ორმეტრიანი დიამეტრის მქონე წრეში ჩაგდება. ეს წრე შემოხაზულია მწაზე 10—15 მეტრის დაშორებით. ვიდრე კავშირგამბმელი ხელყუმბარას არ ჩააგდებს წრეში, წინ წაწევას ვერ შეძლებს.

5. მოწინააღმდეგის გამაგრებული ზოლის გადალახვა. (ერთმეტრიანი ლოზე და ერთი მეტრის სიგანე თხრილი).

მიაღწევთა ზუსტი აღრიცხვის მიზნით ყოველ კავშირგამბმელს ზურგზე დაეკერება ნომერი.



თითოეულ მოთამაშეს აქვს აირწინალი, ჩანთა ხელყუმბარებით და დაფა, რომელზედაც დაწერილი იქნება ნომერი.


სტარტს მისცემენ საყვირით, და შეჯიბრების ყველა მონაწილე ერთდროულად იწყებს წინსვლას.

ყოველ ბარიერთან უნდა იდგეს მსაჯი, რომელიც გაუწევს მეთვალყურეობას. თუ რამდენად ზუსტად სრულდება წესები. მოთამაშეთა ყველა შეცდომას ის აღნიშნავს უბის წიგნაკში, რაც მხედველობაში იქნება მიღებული პირველობის განსაზღვრის დროს.

ისრის სროლა მიზანში.

თანაშობათვის აუცილებელია სამიზნი, გაკეთებული საცობის ხისაგან, ან ცაცხვისაგან, და ოცსანტიმეტრიანი ხის ისარი, ლურამნისაგან გაკეთებული მახვილი ბოლოთი და ფრთით. ისარი უნდა მიაბათ სააიზნის ძელზე 2—3 მეტრის სიგრძე ჩვეულებრივი ძაფით, იმ მიზნით, რომ ისარი გასროლის დროს გვერდზე არ წავიდეს.


ვსაც სურს გაიწაფოს ხელი ზუსტ სროლაში, რიგრიგობით ესვრან ისარს სამიზნს ხუთჯერ ისრის შავ წერტილში მოხვედრა უდრის 5 ქულას, წითელ ხაზზე-4-ს და ასე შემდეგ.



ისარი რომ სწორად წავიდეს, იგი უნდა დაიჭიროთ ცერსა და საჩვენებელ თითს შორის, იმ წერტილში, სადაც ისრის სიმძიმის ცენტრია.

კოტაოდენი ვარჯიშობის შემდეგ შეიძლება მიიღწიოთ ძალიან დიდ სიზუსტეს და 2—3 მეტრის მანძილიდან შესძლებთ აუცდენლად გაარტყათ სამიზნის ცენტრში.

სწორკუთხიანი სამკუთხედი



დახაზეთ 3 ასეთი სამკუთხედი.

პირველი სამკუთხედი გადასჭერით სამი ხაზით ისე, რომ მიიღოთ ოთხი თანასწორი ნაწილი. მეორე სამკუთხედი გადასჭერით სამი ხაზით ისე, რომ მიიღოთ 6 თანასწორი ნაწილი და მესამეც გადასჭერით ორი ხაზით, რომ მიიღოთ ერთმანეთის თანასწორი ოთხი ნაწილი (ორ-ორი ნაწილი).

პასუხები ჟურ. „პიონერი“ № 8 მოთავესებულ გასართობებზე

1	4	3	2
2	3	4	1
4	1	2	3
3	2	1	4

1. ციფრები უჯრედებში უნდა ჩავსვათ ისე, როგორც ამ ნახატზეა ნაჩვენები: როგორც ვერტიკალურ, ისე ჰორიზონტალურ და დიაგონალურ ხაზებში მოთავესებული ციფრების ჯამი უდრის 10-ს.

2. გვიმ 100 შემდეგნაირად გაჭყო ოთხ ნაწილად: პირველი ნაწილი შეიცავს 12-ს, მეორე—20-ს, მესამე 4-ს, ხოლო მეოთხე—64-ს. 12-ს რომ მივუმატოთ ოთხი, მივიღებთ 16-ს; 20-ს რომ გამოვაკლოთ ოთხი, მივიღებთ 16-ს; 4 რომ გავამრავლოთ

ოთხზე, მივიღებთ 16-ს, 64 რომ გავყოთ ოთხზე, მივიღებთ 16-ს. ე. ი. ჯამი, სხეობა, ნამრავალი და განყოფი თანაბარია.

ოქტომბრის სიმღერა



სიტყვები ლილია მებრეღვიძისა

მუსიკა თამარ შაშიაშვილისა

Tempo di Marcia.
I ჯგუფი

Canto

გვიყვარს ჩვენ ოქტომბერი წითელი-თეთრი-თეთროშე-ბით!

Piano

mf

გვიყვარს ჩვენ ოქტომბერი წითელი-თეთრი-თეთროშე-ბით!

მე II ჯგუფი

მოვ-ლი ვართ მოვიმე-რი თ ვართ კომუნის შვი-ლები ჰე-

cresc

f

2. გაუმარჯოს, მეგობრებო
თქვენი ხმების წკრიალსა! { I ჯგუფი
2 ჯერ

ვაშა, ვაშა ოქტომბერს,
მოკაშკაშე-მზიანსა! { მე-II ჯგუფი
2 ჯერ



Piano

პასუხები № 8-ში მოთავსებულ კროსვორდზე

ს ი ტ ქ ვ ე ბ ი ჯ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ :

- | | | | |
|---------------------|--------------|-------------|-------------|
| 4. რასა | 21. ბასკი | 37. იაგა | 56. დამასკი |
| 6. კორეა | 22. ვიქტორია | 38. ანდები | 59. პრაგა |
| 10. ზე | 24. კიოტო | 42. ვენა | 60. ტისა |
| 11. კონსტანტინოპოლი | 26. იალტა | 43. იორი | 62. დუნაი |
| 13. პრუტი | 28. ებრო | 44. ჰეიზერი | 63. რიგა |
| 16. ანაპა | 29. ტაიფუნი | 45. აიგუნი | 65. ეტნა |
| 17. ირანი | 32. ვარშავა | 46. კრიტოსი | 66. ბოლიფია |
| 18. ელბა | 33. მეცი | 51. ონტარიო | 67. შანხაი |
| 19. გობი | 34. ვესპუჩი | 53. სუმატრა | 68. კომი |
| 20. ნილოსი | 36. სენა | 54. ანდორა | |

მ მ რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ :

- | | | | |
|------------|----------------|--------------|---------------|
| 1. იაპონია | 14. ტახო | 36. საპარა | 49. გარონა |
| 2. ლენა | 15. ნიდერლანდი | 37. იენა | 50. ტოლედო |
| 3. კასპის | 19. გაიტი | 39. ბერინგი | 52. რომი |
| 4. რონა | 23. ა. შ. შ. | 40. ირკუტსკი | 53. უნჟა |
| 5. თბილისი | 25. ნიცა | 41. მადრიდი | 55. ნიკარაგუა |
| 7. ოკა | 27. ამერიკა | 42. ვუოკსა | 57. აბისინია |
| 8. რონა | 30. უმანი | 43. იმატრა | 58. მალაგა |
| 9. პირი | 31. ნევა | 45. გეო | 61. ირტიში |
| 12. ტიბეტი | 32. ვენეცია | 47. რენი | 64. ჩილი |
| 13. პამირი | 35. უაიტი | 48. მოსული | |